განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ხუბუნაია**

წევრები:

თეა ლილუაშვილი

პაატა ცაგარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216350829**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს N705-ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია (ჯგუფის თავმჯდომარე), თეა ლილუაშვილი (ჯგუფის წევრი), პაატა ცაგარეიშვილი (ჯგუფის წევრი) 2018 წლის 20 და 21 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი“. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „სამკერვალო წარმოების“ და „კონსულტანტ-გამყიდველის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება მიზნით, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლელო პროგრამებთან აფილირირებული დამატებითი შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების მართებულობა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება „ინფორმაციის ტექნოლოგიისა“ და „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „სამკერვალო წარმოების“ და „კონსულტანტ-გამყიდველის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან.

ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესურსები და და სხვა, განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	□	■
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	□	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა,	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**		

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- ✓ საუკეთესო გამოცდილებაში შეიძლება განვიხილოთ კოლეჯის მუდმივი სწრაფვა სიახლეებისადმი და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისადმი. მაგალითად, კოლეჯი, სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს პროფესიული განათლების სისტემაში დანერგილ თანამედროვე და ინოვაციურ მიდგომას, რაც გამოიხატება, პროფესიული სტუდენტების, კოლეჯში არსებული სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში/ფაბლაბში აქტიური ჩართულობით. მათი ნამუშევრები გამოიფინა და დიდი წარმატებით სარგებლობს სხვა და სხვა ინოვაციური ნამუშევრების გამოფენებს შორის.
- ✓ სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი“ შეიქმნა სტუდენტთა თვითმმართველობის საინიციატივო ჯგუფი, რომლის ძირითადი მიზნებია: კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მონაწილეობა კოლეჯში მიმდინარე პროცესებში; სტუდენტების სოციალური, კულტურული, პროფესიული, სპორტული და სხვა აქტივობების ორგანიზება და ხელის შეწყობა. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება; პროფესიული განათლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის გაზრდა და ა.შ. უკვე განხორციელდა არაერთი საინტერესო აქტივობა მათი ინიციატივით სტუდენტები მუშაობენ თვითმმართველობის დებულების შემუშავებაზე. უახლოეს პერიოდში იგეგმება შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება, რომელიც სისტემაში მოიყვანს და დაარეგულირებს სტუდენტური თვითმმართველობის შექმნის, მართვის და განხორციელების პროცედურებს. ამასთანავე, კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები ამ ეტაპზე უკვე აქტიურად ჩაერთნენ პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების წარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინიციატივაში. აღნიშნული პორტფოლიო, პროფესიული სტუდენტის სწავლის დასრულების შემდეგ ხელს შეუწყობს დამსაქმებლებთან საკუთარი ძლიერი მხარეების წარმოდგენას. პორტფოლიოში შედის, ყველა ის საუკეთესო ნამუშევარი, რომელიც პროფესიულმა სტუდენტმა სასწავლო პროცესში შექმნა.

- ✓ ასევე, კარგ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ, კოლეჯში, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების (მარაგების) მიღების, აღრიცხვის, მართვისა და გაცემის პროცედურის შესაბამისად შექმნილი სასწავლო მასალების აღრიცხვისა და ხარჯვის უწყისები. უწყისი მოიცავს ინფორმაციას, ერთი პროფესიული სტუდენტის მიერ 10 დღის მანძილზე გახარჯული სასწავლო მასალების შესახებ, რომელიც დასტურდება პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის ხელმოწერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი 2 - მატერიალური რესურსი

<u>ქვესტანდარტი 2.1 (ბ)</u>

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ქონდა სამკერვალო წარმოებისა და კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობათა ნუსხაში მითითებული შემდეგი ინვენტარი:

- პოსტტერმინალი - ერთი ცალი
- ქსოვილის სიგრძის საზომი - 1 ცალი
- მიკროსკოპი - 2 ცალი
- საფეიქრო ლუპა - 15 ცალი
- მარტინის ტიპის პორტარტული ანთროპომეტრი - 1 ცალი

<u>ქვესტანდარტი 2.7</u>

დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1. - საგანმანათლებლო პროგრამები

<u>ქვესტანდარტი 1.1</u>

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავებისას, სასურველია გადახედოს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მარტის №44 ბრძანებით დამტკიცებულ - **„სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, კრედიტების გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურას“**, რაც დაეხმარება ტექნიკური თუ სხვა ხასიათის შეუსაბამობების აღმოფხვრაში, კერძოდ:

- ✓ სამკერვალო წარმოებისა და კონსულტან-გამყიდველის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრმაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ უცხო ენას ასწავლის დაწესებულება;
- ✓ სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების** კომპონენტში შეფასების მეთოდი/მეთოდების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილში რეკომენდაციის სახით მოცემული ჩანაწერები შეიცვალოს მოცემულობის შესაბამისად;

- ✓ სამივე პროფესიული საგანანათლებლო პროგრამების მოდულების დამხმარე ჩანაწერებში - **„დამატებითი საჭიროება მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“** დაწესებულებამ ასახოს საკუთარი ხედვა და მიდგომები შესაბამისი მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- ✓ ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის მე-8 პუნქტში - **სტრუქტურა და მოდულები,** პროგრამის სტრუქტურის აღწერის ნაწილში მოცემულია ჩანაწერში - **„საწარმოო პრაქტიკა“/“პრაქტიკული პროექტი“**, მიეთითოს მხოლოდ პრაქტიკული პროექტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

<u>ქვესტანდარტი 1.4</u>

დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად.

სტანდარტი 2 - მატერიალური რესურსი

<u>ქვესტანდარტი 2.9</u>

სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ხელს უნდა უწყობდეს დაწესებულების, როგორც ინსტიტუციის განვითარებას. ამიტომ, მათი შემუშავებისას დაწესებულებამ უნდა გამიჯნოს პერსონალის მიერ ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოები იმ აქტივობებისგან, რაც დაწესებულების განვითარებას უზრუნველყოფს და შესაბამისად შეადგინოს სამოქმედო გეგმები.

სტანდარტი 3 - ადამიანური რესურსი

<u>ქვესტანდარტი 3.3</u>

ადამიანური რესურსების მართვის პროცედურაში ნათლად ჩამოყალიბდეს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, კერძოდ განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაზუსტდეს პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეში სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

სსიპ პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ მისიაა, თანამედროვე სწავლების მეთოდების, მაღალკვალიფიციური პერსონალის და სფეროში არსებული საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისათვის შექმნას ისეთი გარემო, სადაც იქნება ყველა აუცილებელი პირობა პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მისაღებად და პრაქტიკული უნარჩვევების გამოსამუშავებლად, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ ახორციელებს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ 9 და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სურს დამატებით განახორციელოს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
მათ შორის, ახორციელებს პროფესიული **სტანდარტის საფუძველზე შექმნილ შემდეგ პროგრამებს**:

1. სავალი ნაწილის ტექნიკოსი (სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
2. ძრავის შემკეთებელი (ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
3. ინფორმაციული ტექნოლოგი (ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
4. ელექტროამძრავის და ელექტრომომმარაგებელი დანადგრების ოსტატი (მესამე საფეხური)
5. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (სამკერვალო ნაწარმის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6. მასაჟისტი (მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
7. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) (ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი (ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
9. შემდუღებელი (შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)

ახორციელებს **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ შემდეგ პროგრამებს:**

1. ელექტროობა (მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში)
2. ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიოს შემკეთებელი (ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიოს შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
3. თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე (თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კავლიფიკაცია)
4. ზეინკალ-სანტექნიკოსი (ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კავლიფიკაცია)
5. მღებავი (მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია)
6. ბუღალტერ-ტექნიკოსი

სურვილი აქვს განახორციელოს **ჩარჩო დოკუმენტის საფუძვნელზე შექმნილი შემდეგი პროგრამები:**

1. ინფორმაციის ტექნოლოგია
2. სამკერვალო წარმოება
3. კონსულტანტ - გამყიდველი

ვიზიტის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას.

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №128 ბრძანებით;

კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №127 ბრძანებით;

სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №129 ბრძანებით.

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რაც განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მარტის №44 ბრძანებით დამტკიცებული **„სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, კრედიტების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაანგარიშების წესის, მოდულურ პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურის“ მე -2 მუხლის მე-20 პუნქტით.

ინფორმაციის ტექნოლოგიის, კონსულტანტ-გამყიდველის და სამკერვალო წარმოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა (მათ შორის არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, რაც შეესაბამება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ინფორმაციის ტექნოლოგიის, კონსულტანტ-გამყიდველის და სამკერვალო წარმოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისადაა შედგენილი სასწავლო გეგმები, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპრობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში (საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში, განმეორებითი შეფასება, მოდულის დასრულება) მოცემულია 40 საათზე ნაკლები დატვირთვით, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ წესთან. სასწავლო გეგმაში გასაზღვრულია დრო განმეორებითი შეფასებისათვის.

თუმცა ზემოაღნიშნული პროფესიული საგანამათლებლო პროგრამების ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი გარემოება:

- სამკერვალო წარმოებისა და კონსულტან-გამყიდველის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრმებში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ უცხო ენას ასწავლის დაწესებულება;

- სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების** კომპონენტში შეფასების მეთოდი/მეთოდების ნაწილში მითითებულია, რომ ის რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში. დაწესებულების მიერ ადაპტირებულ და დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულებში სარეკომენდაციო ჩანაწერები ვერ იქნება, მათი დანიშნულებიდან გამომდინარე.

- სამივე პროფესიული საგანანათლებლო პროგრამების მოდულების დამხმარე ჩანაწერებში- **„დამატებითი საჭიროება მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“** მოცემულია სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები და არ არის ასახული დაწესებულების მიდგომები (იხ. დანართი 2, დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მოდულები სამივე პროგრამის ფარგლებში: **უცხოური ენა/ინგლისური ენა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რაოდენობრივი წიგნიერება, გაცნობითი პრაქტიკა და სხვა.**

- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული პროექტის განხორციელებას, ხოლო წარმოდგენილი პროგრამის მე-8 პუნქტში - **სტრუქტურა და მოდულები,** პროგრამის სტრუქტურის აღწერის ნაწილში მოცემულია ჩანაწერი - **„საწარმოო პრაქტიკა“/“პრაქტიკული პროექტი“**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ პროფესიული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდულის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ 32-ე მუხლი არეგულირებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. რის მიხედვითაც: სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას დაწესებულება ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და პედაგოგების მეშვეობით. მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში აცნობოს დირექციას სსსმ პირის საჭიროების შესახებ. სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგად და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დადგინდა, რომ დაწესებულებას ჰყავდა სსსპ, შშმ პირები და დაწესებულებამ უზრუნველყო მოდულების მოდიფიკაცია, სწავლების მიდგომებისა და სწავლის შედეგების დადასტურების პირობების ადაპტირება.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან:

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამის გაცნობითი პრაქტიკის ორგანიზებისათვის:

1. შპს "ატომელექტრონიქსი - ს/კ [redacted]
2. შპს 'საქართველოს კავშირგაბმულობის კორპორაცია - ს/კ [redacted]
3. შპს „ორიენტლოჯიკი“ -ს/კ [redacted]
4. ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ს/კ [redacted]
5. ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია - ს/კ [redacted]

კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებისათვის:

1. შპს „ნიკორა“- ს/კ [redacted]
2. შპს „მეგატექნიკა“ -ს/კ [redacted]

სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზებისათვის:

1. შპს "სამოსი" - ს/კ [redacted]
2. შპს "Maika.ge"- ს/კ [redacted]
3. შპს "ბაჩურა" - ს/კ [redacted]
4. ი.მ. მარიამ მათურელი - ს/კ [redacted]
5. შპს „მარიამი 93“ - ს/კ [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის შემდეგ ობიექტებზე:

1. შპს "ატომელექტრონიქსი - ს/კ [redacted]
2. შპს „ნიკორა“- ს/კ [redacted]
3. შპს „მარიამი 93“ - ს/კ [redacted]

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან, რომელთაც აღნიშნეს, რომ მზად იყვნენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის და აღწერეს დაწესებულებასთან თანამშრომლობის პროცედურები.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები ზოგადი ხასიათისაა და არ ითვალისწინებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დაწესებულების მიდგომებით და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია და დოკუმენტაცია სხვა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პრაქტიკით. რის საფუძველზეც დადგინდა, რომ დაწესებულება პრაქტიკული კომპონენტის დაწყების წინ აფორმებს ხელშეკრულებას პრაქტიკის ობიექტთან, რითაც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, კერძოდ: პრაქტიკის დაწყებამდე 10 კალენდარული დღით ადრე საგანმანათლებლო დაწესებულება პრაქტიკის ობიექტს წარუდგენს პროფესიულ სტუდენტთა სიას, პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების თარიღს, პრაქტიკის ხანგრძლივობას, პრაქტიკის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების აღწერასა და კოლეჯიდან საწარმოო პრაქტიკის გავლაზე პასუხისმგებელი პირის სახელს, გვარსა და საკონტაქტო ინფორმაციას. აღნიშნულის დადასტურების მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა წერილობითი მიმოწერა პრაქტიკის ობიექტთან, სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, პრაქტიკის დღიურები და პრაქტიკის ხელმძღვანელის ანგარიში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

სწავლის შედეგის დადასტურების გაფორმების მიზნით, დაწესებულება თითოეული სტუდენტისათვის ადგენს „სწავლის შედეგების დადასტურების ფორმას“ და კოლეჯის საგამოცდო კომისიის წევრის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, აგზავნის დაწესებულების დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში - Eflow. ამ ფორმით ხორციელდება შეფასების საბოლოო დოკუმენტების რეგისტრაცია-აღრიცხვა.

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს, მათ შორის: სამკერვალო წარმოებისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს და სამივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებს (სულ ინტერვიუ განხორციელდა 7 პირთან). ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალს, რომელთაც ჰქონდათ მოდულის სწავლების გამოცდილება იცნობდნენ მოდულის სპეციფიკასა და განხორციელების თავისებურებებს, ხოლო მათ ვისაც ასეთი გამოცდილება არ ქონდათ, ჰქონდათ ზოგადი წარმოდგენა მოდულის შინაარსზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>რეკომენდაცია:</u> დაწესებულებამ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავებისას, სასურველია გადახედოს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 23 მარტის №44 ბრძანებით დამტკიცებული - **„სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, კრედიტების გაანგარიშების წესს, მოდულურ პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურას“,** რაც დაეხმარება ტექნიკური თუ სხვა ხასიათის შეუსაბამობების აღმოფხვრაში, კერძოდ:

- ✓ სამკერვალო წარმოებისა და კონსულტან-გამყიდველის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრმაში დაკონკრეტდეს, თუ რომელ უცხო ენას ასწავლის დაწესებულება;
- ✓ სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭების** კომპონენტში შეფასების მეთოდი/მეთოდების ნაწილში რეკომენდაციის სახით მოცემული ჩანაწერები შეიცვალოს მოცემულობის შესაბამისად;
- ✓ სამივე პროფესიული საგანანათლებლო პროგრამების მოდულების დამხმარე ჩანაწერებში - **„დამატებითი საჭიროება მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“** დაწესებულებამ ასახოს საკუთარი ხედვა და მიდგომები შესაბამისი მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით.
- ✓ ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის მე-8 პუნქტში - **სტრუქტურა და მოდულები,** პროგრამის სტრუქტურის აღწერის ნაწილში მოცემულია ჩანაწერში - **„საწარმოო პრაქტიკა“/“პრაქტიკული პროექტი“**, მიეთითოს მხოლოდ პრაქტიკული პროექტი, პროგრამის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 23 მარტის №44 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, კრედიტების გაანგარიშების წესი, მოდულურ პროგრამებში ცვლილებების შეტანის პროცედურა“
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ბრძანებები (№127, 11.07.2018; №128, 11.07.2018; №129, 11.07.2018)
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:
  - ინფორმაციის ტექნოლოგი
  - კონსულტანტ-გამყიდველი
  - სამკერვალო წარმოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“
- ✓ მემორანდუმები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ
- ✓ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები (ნამუშევრები), უწყისები
- ✓ პრაქტიკის გატარების შესახებ მიმოწერა, პრაქტიკის ხელშეკრულება
- ✓ ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე
- ✓ ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2018), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება აქვს, ხოლო ანონსის სახით მითითებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელებები, რომელთა განხორციელების სურვილი აქვს საგანამანათლებო დაწესებულებას.

გარდა სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციისა, დაწესებულების მიერ შემუშავებული კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, მათ შორის მოკლევადიანი პროგრამებისა და პარტნიორი დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს არამარტო მოქმედი, არამედ კატალოგების არქივი 2014 წლიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2018)
2. ვებგვერდი - www.modusi.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №127, 128, 129 ბრძანებებით დამტკიცებულ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“, „კონსულტანტ-გამყიდველის“ და „სამკერვალო წარმოების“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის (№127, №128, №129) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:
  - ინფორმაციის ტექნოლოგი
  - კონსულტანტ-გამყიდველი
  - სამკერვალო წარმოება
- ✓ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები და მოდულები

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის“ მესამე თავი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების პროცედურას. წესის მე-5 მუხლით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები, ხოლო მე-8-ის მე-5 პუნქტი ეხება არასრულწლოვან პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას. წესის მე-11-მე-14 მუხლები ეხება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვას შესაბამის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე, რითაც დარეგულირებულია დაწესებულებაში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, არაქართულენოვანი პირების ჩარიცხვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვისა და სხვა პროცედურები.

ზემოაღნიშნულის წესის 21-ე მუხლი ეხება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის აღდგენის პროცედურებს. წესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები. წესის 23-ე მუხლით დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის მობილობის საკითხები. წესის 24-ე და 25-ე მუხლებით გაწერილია მიღებული და არაფორმარული განათლების აღიარების პროცედურები.

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებას „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებას „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს, თუმცა დაწესებულების ზემოხსენებულ წესში არ აქვს გაწერილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურა.

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ მიერ დადგენილი რეგულაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურება და შერჩევით გადამოწმდა რამდენიმე სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებიდან კვალიფიკაციის მინიჭებამდე შექმნილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს მის მიერ გაწერილ შიდა რეგულაციას.

პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰყოლია **უცხოეთში** და **ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების** საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას, ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა პროგრამის ცვლილების, გაუქმების ან სხვა შემთხვევის არსებობის თაობაზე, რის საფუძველზეც დაწესებულებამ განახორციელა მიღებული განათლების აღიარება. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ დასახელდა ერთი შემთხვევა და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ: სსიპ პროფესიული კოლეჯში „მოდუსი“ განხორციელდა შიდა მობილობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. რისთვისაც სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ 24-ე მუხლის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 19 აპრილის №64 ბრძანებით შეიქმნა აღიარების კომისია. კომისიამ იმსჯელა და დაადგინა: შიდა მობილობის მსურველი პირებისათვის მობილობის შესაძლებლობა, „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების აღირება და თავსებადობის დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გასავლელი მოდულები/სწავლის შედეგები. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა სტუდენტთან შიდა მობილობა და ბრძანებითვე დამტკიცდა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, სადაც ასახულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების, პერსონალის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და სხვა ინფორმაცია.

<u>რეკომენდაცია:</u>

დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“
- ✓ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმებული პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის)
- ✓ ვიზიტი www.evet.emisi.ge
- ✓ ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ 26-ე მუხლი ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა და გაუქმების წესს. რის მიხედვითაც, დაწესებულების მიერ გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი მოდულების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შესაბამისად, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბმისობის განსაზღვრას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს/მოდულებს შორის. შეცვლილი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამის შემთხვევაში დაწესებულება სტუდენტთან შეთანხმებით, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუ ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთანამშომლობის შესახებ, კერძოდ:

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზაების ცენტრი“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2018 წლის 28 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ პროფესიული კოლეჯის მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფრომებული მემორანდუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ: სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებულია „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გადახედე - გააუმჯობესე“ მოდელის საფუძველზე. ციკლის თითოეული ეტაპი გაწერილია და მითითებულია პასხისმგებელი პირები. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტის მიხედვით:

დაგეგმვის ნაწილში - დაწესებულების სამოქმედო გეგმაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების შეფასების მტკიცებულებები და განმახორციელებლები. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და სწავლების დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად და სასწავლო გეგმები იმგვარადაა შემუშავებული, რომ იძლევა სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ; სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელთაც ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი; პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება (მოდულური პროგრამის შემუშავება, ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება) ხორციელდება კოლეჯის შიდა რესურსითა და მაკონტროლებელ ორგანოთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მათი ჩართულობით; შშშმ/სსსმ პირებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერი, რომელიც სისტემატიურად ახორციელებს დამსაქმებლების საჭიროებების კვლევას და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას კარიერული განვითარების კუთხით.

განხორციელების ნაწილში - სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, კერძოდ: შიდა მონიტორინგის ჯგუფის გეგმიური დასწრება საგაკვეთილო პროცესზე, რომელიც ახდენს შედეგის ანალიზს გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით, ასევე სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი სისტემატურად ამოწმებს სტუდენტთა დასწრებას და პედაგოგის აქტივობებს, რაც შემდგომში აისახება შესაბამის ოქმებში. პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა სასწავლო კურსის/მოდულის მიმდინარეობის თაობაზე სპეციალური კითხვარის გამოყენებით სასწავლო კურსების/მოდულების დასრულების შემდეგ; სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება; სწავლებისა და შეფასების მაღალ ხარისზე განხორცილების მიზნით სწავლის შედეგების შესაბამისი სანდო, ვალიდური, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების (როგორც მოდულურის, ასევე, საგნობრივი პროგრამებისათვის) შემუშავება და მისი შეთანხმება ხარისხის მართვის მენჯერთან; პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად მოდულური პროგრამების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება. სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა სხვადასხვა ტიპის აქტივობებით; საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე ორგანიზება, დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით: პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა.

შემოწმების ნაწილში - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შემოწმება ხორციელდება: სასწავლო კურსების/მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლა; მეცადინეობებზე დასწრება და ანალიზი გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით; პროფესიული მასწავლებლების შეფასება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ანალიზი; პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზი; პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერების მიერ დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით და ანალიზი; პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ დასაქმების სტატისტიკის წარმოება.

განავითარეს ნაწილში - ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებაშთან დაკავშირებით. ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პედაგოგებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით; არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდიფიცირება დადგენილი პროცედურის შესაბამისად; გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად. შიდა შეფასების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები გასაზღვრულია თანამშრომელთა მოვალეობების წესითა და სამოქმედო გეგმით. მოდულური პროგრამების დანერგვის მიზნით, ცალკეული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარები, მაეცადინეობებზე დასწრების ფორმები. საგნობრივი პროგრამების შეფასების მიზნით დაწესებულება იყენებს როგორც კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტაციას (კითხვარებს), ასევე, ცენტრის მიერ მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით მოწოდებული დოკუმენტაციის მოდიფიცირებულ ვერსიებს და სხვ. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარის, კვლევის დოკუმენტის ფორმის ინიცირება შეუძლია კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს (თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს, პარტნიორს, დამსაქმებელს) და ის შეთანხმებული უნდა იყოს ხარისხის მართვის მენეჯერთან. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშგება ხორციელდება დირექტორის წინაშე.

ზემოაღნიშნული პროცესების რეალურად შესრულების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიურება დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან, გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა და შემდეგი დოკუმენტები:

დაგეგმეს ნაწილში - დაწესებულების შიდა მონიტორინგის გეგმა, დაწესებულების სამოქმედო გეგმები

განხორციელების ნაწილში - მოდულური პროფესიული პროგრამების მიმდინარეობაზე დაკვირვების ოქმები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების ოქმები, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის კითხვარები

შეფასების ნაწილში - კითხვარების მიმდინარე და შემაჯამებლი ანალიზი და საჭიროებების იდენტიფიცირება, წლიური ანგარიშები

განავითარეს ნაწილში - მასწავლებელთა შიდა ტრენინგების ჩატარებს დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ინიცირების თაობაზე დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათები, რომელსაც ახლდა პერსონალის სამუშაო შეხვედრის საოქმო გადაწყვეტილებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,მოდუსის" ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ✓ დაწესებულების შიდა მონიტორინგის გეგმა
- ✓ დაწესებულების სამოქმედო გეგმები
- ✓ დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტეის და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები
- ✓ გამოკითხვის კითხვარების ანალიზის დოკუმენტი
- ✓ პერსონალისათვის ტრენინგის ჩატარების დოკუმენტაცია

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე (უზურფრუქტის ხელშეკრულება N1-285, 26.01.2006) მისამართზე - ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას N4 მდებარე ფლობს (დაზუსტებული ფართობი 25000 კვ.მ) სასწავლო კორპუსს საერთო ფართით 4434.54 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 02.03.04.686), ხელშეკრულების მე-3 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით, დაწესებულებას ქონება გადაეცა განუსაზღვრელი ვადით და მოქმედებს მის ლიკვიდაციამდე. უზურფრუქტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებულია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის [redacted]).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას N4 - სასწავლო კორპუსი	4434.54
2	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას N4 - საფეხბურთო სკოლა	43.92
3	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას N4 - სახელოსნო	2375.85
4	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას N4 - ავტოფარეხი	244.19
5	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას N4 - საქვაბე	72

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ უზურფრუქტის ხელშეკრულებით N1-285, 26.01.2006
- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted]
- ✓ შენობა-ნაგებობების ოფიციალური აზომვითი ნახაზები (საკადასტრო გეგმა)
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო ფართი, კერძოდ:

კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს A, B და C სასწავლო გარემოს. დაწესებულებას A და C გარემო აქვს ინტეგრირებულად, ხოლო B გარემო - ცალკე. A/C გარემოში ერთდროულად შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის განთავსება (ორ ცვლაში სწავლებით დაწესებულება გეგმავს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას). აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის შესაბამისი ინვენტარი, გარდა პოსტერმინალისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემოს აუდიტორიაში გათავსეულია 21 კომპიუტერი, აღჭურვილია კომბაინითა და პროექტორით.

სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს A, B და C სასწავლო გარემოს. დაწესებულებას სამივე გარემო აქვს ცალ-ცალკე აუდიტორიაში. A და C გარემოში ერთდროულად შესაძლებელია 15-15 პროფესიული სტუდენტის განთავსება (ორ ცვლაში სწავლებით დაწესებულება გეგმავს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას). აუდიტორიებში განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის შესაბამისი ინვენტარი, გარდა შემდეგისა:

1. ქსოვილის სიგრძის საზომი - 1 ცალი
2. მიკროსკოპი - 2 ცალი
3. საფეიქრო ლუპა - 15 ცალი
4. მარტინის ტიპის პორტარტული ანთროპომეტრი - 1 ცალი

დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას, გაირკვა, რომ დაწესებულებას 2018 წლის 3 აგვისტოს შპს „სოლემარტთან“ გაფრომებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (№ვ-20) (დანართი 4). ხელშეკრულების მიხედვით, ინვენტარის მიწოდების ვადად განსაზღვულია 40 კალენდარული დღე.

დაწესებულებას B გარემო საერთო აქვს კონსულტანტ-გამყიდველისა და დაწესებულების მიერ განსახორციელებელ 6 მოდულურ პროგრამასთან (ზეინკალ-სანტექნიკოსი, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე, ელექტროობა, მღებავი, ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს შემკეთებელი, ბუღალტერ-ტექნიკოსი)

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს A და B სასწავლო გარემოს. დაწესებულებას A და B გარემო აქვს ინტეგრირებულად, სადაც ერთდროულად შესაძლებელია 15 პროფესიული სტუდენტის განთავსება (ორ ცვლაში სწავლებით დაწესებულება გეგმავს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას). აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის შესაბამისი ინვენტარი.

<u>ხარვეზი:</u>

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ქონდა სამკერვალო წარმოებისა და კონსულტანგ-გამყიდველის პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ აღჭურვილობაში მითითებული შემდეგი ინვენტარი:

- პოსტტერმინალი - ერთი ცალი
- ქსოვილის სიგრძის საზომი - 1 ცალი
- მიკროსკოპი - 2 ცალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საფეიქრო ლუპა - 15 ცალი
- მარტინის ტიპის პორტარტული ანთროპომეტრი - 1 ცალი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და მიღება ჩაბარების აქტები.
- ✓ 2018 წლის 3 აგვისტოს შპს „სოლემარტთან“ გაფრომებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (№ვ-20)
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდუსი“ არსებობს ელექტროენერიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. დაწესებულება რეგისტრირებულია ელექტროენერგიის (აბონენტის [redacted]), გაზისა (აბონენტის [redacted] და წყლის (აბონენტის [redacted] გადამხდელად. არსებობს ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. არსებობს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა და მიმდინარეობს გათბობის სისტემის განახლების სამუშაოები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ადგილზე დათვალიერება
- ✓ ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ ახორციელებს სარემონსტო სამუშაოებს, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად ვერ შეფასდა საბიბლიოთეკო სერვისები. დაწესებულებას ლიტერატურის უდიდესი ნაწილი აქვს ელექტრონული ფორმით, რაც რეგისტრირებული აქვს წიგნადი ფონდის რეგისტრაციის წიგნში. ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ელექტრონული წიგნადი ფონდი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში და თავისუფალ წვდომაშია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოდულების მიხედვით გადამოწმდა სამივე პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების შესაბამისი რესურსის დაწესებულებაში არსებობის ფაქტი, რაც დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მოწოდებულ იქნა ელექტრონულად, CD დისკებზე ჩაწერილი ფორმით.

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 20 აგვისტოს №87 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ ბიბლიოთეკის საქმიანობის დროებითი წესი, სადაც მოცემულია ბიბლიოთეკის ადგილსამყოფელი, სამუშაო საათები, ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსის CD დისკებზე განთავსებისა და სტუდენტთა მიერ აღნიშნული რესუსრის სარგებლობის თაობაზე. წესის მოქმედება გრძელდება 2019 წლის 12 თებერვლამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ელექტრონული და ბეჭდური კატალოგები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები).
- ✓ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ✓ წიგნადი ფონდის რეგისტრაციის წიგნი;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯში"მოდუსი" საგანმანათლებლო დაწესებულების მართვასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოიყენება საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემები. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს:

- კომპიუტერული ტექნიკა - 245 ერთეული, რომელთაგან სასწავლო საქმიანობაში გამოიყენება 215, ხოლო ადმინისტრაციული საქმიანობისათვის - 30 ერთეული
- ქსეროქსის აპარატი - 1 ცალი
- პრინტერი - 5 ცალი
- კომბაინი - 12

დაწესებულებაში არსებობს ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა, რისთვისაც 2018 წლის 1-ელ თებერვალს სსიპ განათლების მართვის საინფორმაიო სისტემასთან აქვს გაფორმებული №7 ხელშეკრულება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია
- ✓ ტექნიკის გადანაწილების მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ✓ ადგილზე დათვალიერება;
- ✓ ინტერვიურება;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 24 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ „საქმისწარმოების ინსტრუქციით“. ინსტრუქცია არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა: შემოსული დოკუმენტების დამუშავების წესი, მიღება, რეგისტრაცია და განაწილება; დოკუმენტების მოძრაობა კოლეჯში, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესი, გასაგზავნი დოკუმენტების დამუშავების წესი, დოკუმენტების შეთანხმების, დამტკიცების, ბეჭდის დასმისა და კოლეჯში გამოყენებული ბეჭდების შესახებ ინფორმაცია, მმართველობითი დოკუმენტების მომზადება, დოკუმენტების შესრულებაზე კონტროლის ორგანიზება, დოკუმენტების შესრულების ვადები, ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და მემორანდუმების რეგისტრაცია და შენახვა, საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და საქმეების ფორმირება, საარქივო საქმისწარმოება, დოკუმენტების მომზადება არქივში გადასაცემად.

დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას - Eflow.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“ საქმისწარმოების ინსტრუქცია
- ✓ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგიტრციო ჟურნალი
- ✓ ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი
- ✓ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა - EFLOW

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2015 წლის 19 აგვისტოს №107 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შენობების სახანძრო უსაფრთოების ზომების ინსტრუქცია. ევაკუაციის გეგმა და ვადიანი ცეცხლმაქრი საშუალებები, განთავსებული იყო შესაბამის ადგილზე, თვალსაჩინოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების არსებობის მიზნით, დაწესებულებას ჰყავს მედდა და მის სამუშაო აღწერილობაში არის გაწერილი მისი ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებას აქვს გამოყოფილი კუთხე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას ჰყავს უსაფრთხოების უფროსის, უსაფრთხოების ცვლის უფროსის, უსაფრთოების ცვლის მორიგის მოვალეობის შემსრულებლები. **უსაფრთხოების უფროსი** უწევს კონტროლს უსაფრთხოების ცვლის მორიგეებს და უსაფრთხოეის ცვლის უფროსების მუშაობას; უზრუნველყოფს ცვლის მორიგეების უსაფრთხოეის ცვლის უფროსების გამართულად მუშაობას; აძლევს მითითებებს მის დაქვემდებარებაში მყოფ უსაფრთხოების სამსახურს; ამუშავებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას, უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდებას. **უსაფრთხოების ცვლის უფროს** უწევს კონტროლს უსაფრთხოების ცვლის მორიგეებს; იცავს კოლეჯის უსაფრთხოებას მორიგეობის განმავლობაში (მათ შორის ახორციელებს ტერიტორიაზე პერიოდულ შემოვლას, ახორციელებს კამერების მონიტორინგს) უწევს კონტროლს კოლეჯში მატერიალური რესურსის კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა - გამოტანას; პასუხისმგებელია გარე კარების ყველა საკეტის მთლიანობაზე; პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე; ვალდებულია დაიცვას კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხოება და წესრიგი კოლეჯის ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საპატრულო პოლიციის გამოძახება. **უსაფრთხოების ცვლის მორიგის მოვალეობებია:** იცავს კოლეჯის უსაფრთხოებას მორიგეობის განმავლობაში იცავს კოლეჯის უსაფრთხოებას მორიგეობის განმავლობაში (მათ შორის ახორციელებს ტერიტორიაზე პერიოდულ შემოვლას, ახორციელებს კამერების მონიტორინგს) უწევს კონტროლს კოლეჯში მატერიალური რესურსის კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა - გამოტანას; პასუხისმგებელია გარე კარების ყველა საკეტის მთლიანობაზე; პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შენობების სახანძრო უსაფრთოების ზომების ინსტრუქცია.
- ✓ საევაკუაციო გეგმა
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ პროფესიულ კოლეჯში „მოდესი“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის გარემო და სველი წერტილები ადაპტირებული არ არის, ვინაიდან დაწესებულებაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. დაწყებული სამუშაოების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა და პერსონალთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ დაწესებულება ახორციელებს სველი წერტილების ადაპტირებას და ლიფტების მონტაჟს, რაც სსსმ პროფესიულ სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გადაადგილდეს შენობის მთელ ტერიტორიაზე (ოთხივე სართულზე).

<u>ხარვეზი:</u>
დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერება
- ✓ ინტერვიურება

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას აქვს ვებგვერდი - www.modusi.ge. ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების, საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალის, ჩარიცხვის პირობების, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვა; ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა), დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ბმულები, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ, სამოქმედო გეგმები, ანგარიშები და სხვა.

ვებგვერდზე ხდება ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლება. რეგულარულად თავსდება სიახლეები. ბოლო სიახლე გათავსებლი 2018 წლის 30 ივლისს.

დაწესებულება რეგისტრირებულია დომენის ადმინისტრატორად - www.modusi.ge. დაწესებულებას შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC)-სთან 2018 წლის 10 იანვარს გაფორმებული აქვს №3 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ ვებგვერდი - www.modusi.ge
- ✓ ვიზიტი ვებგვერდზე
- ✓ დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ ჰოსტინგის ფლობის ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (№3, 10.01.2018)

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის №2 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ 2017-2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის განთვითარების სამოქმედო გეგმა, ხოლო კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 20 სექტემბრის №291 წლის ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2016-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. დაწესებულების ვებგვერდზე ხელმისაწვდომია 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დაწესებულების სამოქმედო გეგმებში მოცემულია ისეთი აქტივობები, რაც პერსონალს ევალება სამუშაოს აღწერილობებითა და წარმოადგენს მის პერიოდულად/ყოველდღიურად შესასრულებელ საქმიანობას. მაგალითად: „სასწავლო პროცესისა და შეფასების პროცესის მონიტორინგი, ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა (გაკვეთილის ცხრილის, შეფასების აღრიცხვის ფორმები და სხვა), ელექტრონული ჟურნალების წარმოების მონიტორინგი და სხვა“.

<u>რეკომენდაცია:</u>

სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ხელს უნდა უწყობდეს დაწესებულების, როგორც ინსტიტუციის განვითარებას. ამიტომ, მათი შემუშავებისას დაწესებულებამ უნდა გამიჯნოს პერსონალის მიერ ყოველდღიურად შესასრულებელი სამუშაოები იმ აქტივობებისგან, რაც დაწესებულების განვითარებას უზრუნველყოფს და შესაბამისად შეადგინოს სამოქმედო გეგმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ მისია;
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმა;
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა და მისი შემადგენელი პუნქტები;
- ✓ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებული ვებგვერდზე.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2016 წლის 6 ივლისის სხდომის N6 ოქმით დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია პერსონალის სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები. პერსონალი შერჩეულია კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის შესაბამისად; პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა;
- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ თანამდებობრივი ინსტრუქციები (დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2016 წლის 6 ივლისის სხდომის N6 ოქმით, ცვლილება განხორციელდა სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 12 მარტის N3 ოქმით);
- ✓ ვებგვერდზე გათვასებული საკონკურსო განაცხადები

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ ავტორიზაციისათვის წარმოდგენილ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 10-10 პროფესიული მასწავლებელი, მათგან 8 ახორციელებს ზოგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულებს, ხოლო თითოეულ პროგრამას ჰყავს 2-2 დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი, სულ 14 პროფესიული მასწავლებელი. ავტორიზაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ თითოეულ პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 30, სულ - 90.

ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციები შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის მოთხოვნებთან და მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი, პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობა დაცულია.

რეესტრის მონაცემების მიხედვით, უკვე მოქმედ პროგრამებზე ჰყავს 241 პროფესიული სტუდენტი და 43 პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ✓ საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება სსიპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის და კანონმდებლობის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ 12 პროფესიული მასწავლებლის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი ხელშეკრულებები/შეთანხმებები ან/და დანიშვნის აქტები, რითაც დადასტურდებოდა დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების დროისათვის წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამებში განსაზღვრული პერსონალის მზაობა შესაბამისი მოდულ(ებ)ის განხორციელებაზე, ინფორმაციის ტექნოლოგიის, კონსულტანტ-გამყიდველის და სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გააფორმა შეთანხმებები პროფესიულ მასწავლებლებთან (დანართი 5).

ორ პროფესიულ მასწავლებელთან, სსიპ პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის 3[1] მუხლის შესაბამისად, კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა სამთვიანი ხელშეკრულება. დაწესებულების შემუშავებული პროცედურის შესაბამისად, მითითებული სამი თვის პერიოდში, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის ორგანიზება და შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევა. აღნიშნულ ხელშეკრულებებში ძალაში შესვლის ვადად მითითებული იყო 2018 წლის 4 ივნისი, ხოლო ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, აღნიშნული ვადის (3 თვე) ათვლა დაიწყება კონსულტანტ - გამყიდველის პროფესიულ პროგრამაზე ჯგუფის შექმნიდან.

პირად საქმეებში არსებული სხვა პროგრამის ფარგლებში, მოდულების განხორციელებაზე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული არსებითი პირობების შესაბამისად.

ადამიანური რესურსების მართვის პროცედურაში არ არის გამიჯნული პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურისგან. ამიტომ ბუნდოვანია პროფესიულ მასწავლებელის შერჩევისათვის კონკურსის გამოცხადების შემთხვევების განსაზღვრა. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას (დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი) გამოიკვეთა, რომ მათ ეს პროცესები კარგად აქვთ გააზრებული.

ადამიანური რესურსების მართვის პროცედურაში გაწერილია თანამშრომლების პირად საქმეში განსათვასებელი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა შეფასების ფორმებსა და ინსტრუქტაჟის გავლის ჩანაწერებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული ეხება მხოლოდ გამოსაცდელი ვადით აყვანილ თანამშრომლებს, ხოლო პროფესიულ მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გამოსაცდელი ვადით არ ფორმდება.

<u>რეკომენდაცია:</u>

ადამიანური რესურსების მართვის პროცედურაში ნათლად ჩამოყალიბდეს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, კერძოდ განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების პირობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაზუსტდეს პროფესიული მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეში სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ ადამიანური რესურსების მართვის პროცედური;
- ✓ პროფესიული პროგრამების დანართები;
- ✓ საქართველოს შრომის კოდექსი;
- ✓ ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეული

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე	მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	ქ. რუსთავი, შარტავას ქ. №4	0	30
2	კონსულტანტ-გამყიდველი	მესამე	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020256	56	71	ქართული	ქ. რუსთავი, შარტავას ქ. №4	0	30
3	სამკერვალო წარმოება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 040966	99	114	ქართული	ქ. რუსთავი, შარტავას ქ. №4	0	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი მოდულები სამივე პროგრამის ფარგლებში: **უცხოური ენა/ინგლისური ენა, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რაოდენობრივი წიგნიერება, გაცნობითი პრაქტიკა და სხვა** *(ელ. ვერსია)*

დანართი 3. 2018 წლის 3 აგვისტოს შპს „სოლემარტთან" გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (№ვ-20) – *4 ფურცელი*

დანართი 4. პროფესიული განათლების 2 მასწავლებლის ხელშეკრულება - *13 ფურცელი*

03.09.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: